დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260905**
თარიღი:**31/03/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ

ანგარიში

2024 წლის 17 ნოემბრის N:ბ108.1082432419 ბრძანებით დამტკიცებული, 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის და მასში 2025 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა 13396211 (ცამეტი მილიონ სამას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ორას თერთმეტი) ლარის შესყიდვა.

ელექტრონული ტენდერი:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდეგ: eProcurement სისტემა) მეშვეობით, 2025 წელს 91 ღია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.

აქედან ტენდერების 100% განეკუთვნება NAT ტიპის ტენდერებს

- დასრულებულია უარყოფითი შედეგით 8 ელექტრონული ტენდერი
- არ შედგა 5 ელექტრონული ტენდერი;
- 78 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდა და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.
  ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 10798919 (ათი მილიონ შვიდას ოთხმოცდათვრამეტი ათას ცხრაას ცხრამეტი) ლარს.

  2025 წელს ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებული შესყიდვების სატენდერო ეკონომიამ შეადგინა 1334127 ლარი.

გამარტივებული შესყიდვა:

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სხვადასხვა სახის საქონლის, მომსახურების სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების 183 შესყიდვა განხორციელდა, საერთო ღირებულებით 1732473 (მილიონ შვიდას ოცდათორმეტი ათას ოთხას სამოცდაცამეტი) ლარი,

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელებული შესყიდვა:

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დმანისის მერიის მიერ 2025 წელს განხორციელდა 31 შესყიდვა საერთო ღირებულებით 864819 (რვაას სამოცდაოთხი ათას რვაას ცხრამეტი) ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების 80,61% განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 12,93% გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხოლო 6,46% განხორციელდა კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.